

- 1. პროგრამის დასახელება : უფასო კვების პროგრამა
- 2. პროგრამის განხორციელების ვადები: 01 იანვარი 2012 წელი  
31 დეკემბერი 2012 წელი
- 3. პროგრამის დაფინანსების წყარო: ქალაქ ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტი
- 4. პროგრამის ბიუჯეტი: 490 000 (ოთხასოთხმოცდაათი ათასი)  
ლარი
- 5. პროგრამის მიზანი: განსაკუთრებით გაჭირვებული უმწეო პირების კვებით მოთხოვნილების დაკმაყოფილება

**6. განსახორციელებელი ღონისძიებები:**

- პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა შერჩევა.
- მომსახურეობის მომწოდებელი სუბიექტის შერჩევა
- პროგრამის ბენეფიციარების ყოველდღიურად ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფა.
- პროგრამის განხორციელების მონიტორინგი, მართვა.

**7. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა**

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეული	ღონისძიების სათვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (12 თვე)	შენიშვნა
1	ერთჯერადი სადილი	ულუფა			484 600	
2	პროგრამის მართვა				5400	
2.1	შრომის ანაზღაურების ფონდი	თვე	12	450	5400	
	<b>სულ ხარჯი</b>				<b>490 000</b>	

**8. აუცილებლად გამოსაყენებელი პროდუქტების ჩამონათვალი 7დღეზე (1კვირა).**

	პროდუქტის დასახელება	ყოველკვირეული ხარჯი ერთ სულზე
1.	ხორცი	200 გრ.
2.	ქათმის ბარკალი	100 გრ.
3.	თევზი	150 გრ
4.	კვერცხი	1 ც.
5.	პური	1 800 გრ
6.	შაქარი	100 გრ.
7.	ლობიო	100 გრ.
8.	ხილი	300 გრ.

**9. პროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალი.**

№	თანამდებობა	ფუნქცია	რაოდენობა	შრომის ანაზღაურება ერთ თვეში	მთლიანი ხარჯი შრომის ანაზღაურებაზე (12 თვე)
1	კოორდინატორი	პროგრამის მართვა და კოორდინაცია	1	450	5400

**10. დამატებითი ინფორმაცია.**

ა) ყოველდღიური მენიუ, პროდუქტების ჩამონათვალი და რაოდენობა დაზუსტდება მომსახურეობის მომწოდებლის მიერ სამსახურთან შეთანხმებით.

ბ) ეკონომიის ან სხვა დამატებითი შემოსავლების (სპონსორები) შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ბენეფიციართა დაკმაყოფილება ან დამატებითი მომსახურეობა.

გ) პროგრამის მიმდინარეობისას, ბენეფიციართა მომართვიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ულუფის რაოდენობის რეგულირება ან დამატებით ბენეფიციართა მომსახურეობა სამსახურთან შეთანხმებით.

დ) შესაძლებელია მენიუს ცვლილება სეზონურად, სეზონური პროდუქტების გამოყენებით სამსახურთან შეთანხმებით.

**11. მოსალოდნელი შედეგი:** შიმშილის ნაწილობრივი ან სრული აღმოფხვრა.

**12. შეფასების კრიტერიუმი:** მოშიმშილე კატეგორიის არარსებობა

**13. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** ქ. ქუთაისის მერიის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური

**სამსახურის უფროსი**

კახა ქორიძე

შეთანხმებულია:

ნიკო კაჭკაჭიშვილი

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე